პროფ. ნინო ჟვანია - საქართველოს ექიმ ქალთა ასოციაციის პრეზიდენტი- 10 წთ

ნინო სესკურია, მედიცინის აკადემიური დოქტორი,მ. ზოდელავას ჰემატოლოგიური ცენტრი
ანემიების დიაგნოსტიკის და მკურნალობის თანამედროვე ასპექტები -15 წთ

რუსუდან კვანჭახაძე, მედიცინის დოქტორი, პროფესორი,დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

მიკრო და მაკრო ელემენტების დისბალანსი ორსულობის პერიოდში - 15 წთ

მარინა შაქარაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს პათოლოგიის დეპარტამენტი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის ჯანმრთელობის დაცვის ფაკულტეტის დეკანი
კონსტიტუციის როლი პათოლოგიაში - 15 წთ

ხათუნა კალაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მსოფლიოს ექიმ ქალთა ასოციაციის ცენტრალური ევროპის რეგიონული ვიცე-პრეზიდენტი; მანანა გოგოლი, ქირურგი, თსუ-ს დოქტორანტი
ბარიატრიული ქირურგია - გენდერ სპეციფიკური განსხვავებები, რისკები და უპირატესობები - 15 წთ

20.30

”ბრაზიული კარნავალი“ და მუსიკალური საღამო

10.09.2016

11.00-14.00

სპეციალური სემინარი პრაქტიკოს ექიმთათვის

15.00-17.00

შპს “კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრის“,
საქართველოს დერმატო-ვენეროლოგთა ასოციაციისა და
ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის

52-ე კონფერენცია “დერმატო-ვენეროლოგიური პრობლემების თანამედროვე ხედვა”

სესიის ხელმძღვანელები: პროფ. გიორგი გალდავა, პროფ. თინა ქიტუაშვილი

პროგრამა

14.30 – 15.00 - მონაწილეთა რეგისტრაცია

15.00 - კონფერენციის გახსნა

15.00 – 17.00

გიორგი გალდავა, თსუ-ის პროფესორი, ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი, ასოციაციის პრეზიდენტი
ინოვაციები კანისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების დიაგნოსტიკაში - 20 წთ

სოფიკო აზრუმელაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტი; თინა ქიტუაშვილი, თსუ-ისა და დ.ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეროვნული ცენტრის დირექტორი სამეცნიერო_სასწავლო დარგში
როზაგა _ პრობლემის თანამედროვე ხედვა - 20 წთ

ნინო ხუციშვილი, ეროვნული ცენტრის დერმატო-კოსმეტოლოგიის დეპარტამენტის ექიმი;ნინო ლორთქიფანიძე, დ.ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეროვნული ცენტრის დერმატო-ვენეროლოგი, საქართველოს თმის კვლევის ასოციაციის პრეზიდენტი
ტრიქოსკოპია _ ახალი მეთოდი თმის ცვენის დიაგნოსტიკაში - 20 წთ

მაია პავიკიძე, ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის რეზიდენტი
თმის ცვენის დიაგნოსტიკური ალგორითმი - 15 წთ

ნინო ფირცხალაიშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის რეზიდენტი
ჯანსაღი და დისტროფიული თმები - 15 წთ

თინათინ ლიბრაძე, ეროვნული ცენტრის დერმატო-კოსმეტოლოგიის დეპარტამენტის ექიმი
ჰიპერჰიდროზი _ მკურნალობის ალტერნატიული მეთოდები - 15 წთ

16.45 – 17.00 დისკუსია

17.00 52-ე კონფერენციის დახურვა

17.00- 18.45

ბათუმის საერთაშორისო ჰოსპიტალის სესია

სესიის თანათავმჯდომარეები: **მეჰმეთ ჯან ასლანჯა**, ბათუმის საერთაშორისო ჰოსპიტალის სამედიცინო დირექტორი, გინეკოლოგ-რეპროდუქტოლოგი
რუსუდან ჯაში, მედიცინის დოქტორი, პროფესორი, ბათუმის საერთაშორისო ჰოსპიტალის პედიატრი

იოსებ სიხარულიძე, ბათუმის საერთაშორისო ჰოსპიტალის ინტერვენციული კარდიოლოგიის დეპარტამენტი
ანგიოპლასტიკის თანამედროვე მეთოდები -15 წთ

რუსუდან ჯაში, მედიცინის დოქტორი, ბათუმის საერთაშორისო ჰოსპიტალის პედიატრიის მიმართულების ხელმძღვანელი, კლინიკური ფარმაცოლოგიის და რაციონალური ფარმაცოთერაპიის კავშირი, „უპირველესია, არ ავნო“

პოლიფარმაცია და რაციონალური ფარმაცოთერაპიის პრობლემები საქართველოში -15 წთ

გიორგი მიქელაძე, ბათუმის საერთაშორისო ჰოსპიტალის ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ბათუმის საერთაშორისო ჰოსპიტალის ქირურგიული დეპარტამენტის მიმართულებების შესახებ -15 წთ

ვლადიმერ წიქარიშვილი, ნეიროქირურგი, მედიცინის დოქტორი; *მირზა ხინიკაძე*, ნეიროქირურგი, მედიცინის დოქტორი; *მერაბ დოლიძე*, ბათუმის საერთაშორისო ჰოსპიტალის ნეიროქირურგი
ეპილეფსიის ქირურგიული მკურნალობა -15 წთ

მირზა ხინიკაძე, ნეიროქირურგი, მედიცინის დოქტორი .ლ. წიქარიშვილი, ნეიროქირურგი, მედიცინის დოქტორი. *მერაბ დოლიძე* ბათუმის საერთაშორისო ჰოსპიტალის ნეიროქირურგი
თავის ტვინის ანევრიზმების ქირურგიული მკურნალობა -15 წთ

ვლადიმერ წიქარიშვილი, ნეიროქირურგი, მედიცინის დოქტორი; *მირზა ხინიკაძე*, ნეიროქირურგი, მედიცინის დოქტორი; *მერაბ დოლიძე*, ბათუმის საერთაშორისო ჰოსპიტალის ნეიროქირურგი
ენდოსკოპიის როლი თანამედროვე ნეიროქირურგიაში -15 წთ

მერაბ მიქელაძე, ბათუმის საერთაშორისო ჰოსპიტალის სისხლძარღვთა ქირურგი
ქვედა კიდურების ქრონიკული არტერიული უკმარისობის მკურნალობის თანამედროვე მეთოდები -15 წთ

20.00

სკოლა-კონფერენცია „ჩაქვი-2016“ დახურვისადმი მიძღვნილი საღამო (ბანკეტი)

=

პირველი სკოლა-კონფერენციის “ბაკურიანი-97” პროგრამა უკვე ისტორიის ნაწილია, ხოლო ვეტერან-ფუძემდებლებისათვის, დღესაც რომ მოღვაწეობენ საქართველოში (საორგანიზაცია კომიტეტის წევრებს შორის მსხვილი შრიფტით არიან მონიშნულნი) ასოცირებულია სასიამოვნო ნოსტალგიურ მოგონებებთან..

სკოლა - სემინარი “ბაკურიანი - 97”

“პერინატოლოგიაში, მეანობა-გინეკოლოგიაში, ნეონატოლოგიაში და ბავშვთა ქირურგიაში დიაგნოსტიკის და მკურნალობის ახალი მეთოდების გამოყენება”

კ.ბარქაია	საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის და სოციალური საკითხების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	თავმჯდომარე
ჰ.მელაძე	საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის თავმჯდომარე, პროფესორი	თავმჯდომარის მოადგილე
- ნ.ნუცუბიძე	ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო პროგრამების მთავარი დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	თავმჯდომარის მოადგილე
ა.პაპიტაშვილი	საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის სამედიცინო განყოფილების ხელმძღვანელი	პასუხისმგებელი კოორდინატორი
რ. ღარიბაშვილი	ქ.შარტავას სახელობის ფონდის თავმჯდომარე	წევრი
პ.შოთაძე	თბილისის სამედიცინო აკადემიის რექტორი	წევრი
გ.აბულაძე	საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე	წევრი
დ.ჯოჯუა	საქართველოს მინისტრთა კაბინეტის სოციალური საკითხების განყოფილების გამგე	თავმჯდომარის მოადგილე
გ.თვალთვაძე	თბილისის N2 სამშობიარო სახლის	პასუხისმგებელი მდივანი

	დღის სტაციონარის გამგე	
ი.ფავლენიშვილი	თბილისის სამედიცინო აკადემიის სწავლული მდივანი	წევრი
დ.ქაჯაია	თსუ-ს პედ. ფაკ. მეანობა- გინეკოლოგიის კათ. უფროსი ლაბორანტი	წევრი
ნ. ზალდასტანიშვილი	თბილისის N#2 სამშობიარო სახლის ექიმი	წევრი
მ.როგავა	თბილისის N#2 სამშობიარო სახლის კომპიუტერული სამსახურის პროგრამისტი	წევრი
ნ.ჯინჭარაძე	თბილისის ვეტერანთა ჰოსპიტალის თანამშრომელი	წევრი

ლექტორები:

<ol style="list-style-type: none"> 1. თ. ჭურაძე 2. ი. მუჩაიძე 3. გ. დავითაია 4. ი. იაშვილი 5. პ. ხერხეულიძე 6. გ. ნატრიაშვილი 7. ყ. ფაღავა 8. თ. მაჭარაშვილი 9. ი. დავითაია 	<ol style="list-style-type: none"> 10. ა. ჩხეიძე 11. ბ. კორსანტია 12. პ. კინტარია 13. გ. გოცაძე 14. ზ. ბიბილეიშვილი 15. დ. ტაბუცაძე 16. რ. კუტუბიძე 17. ბ. ქურჩიშვილი
--	---

სკოლა - სემინარის სამუშაო გეგმა

23 თებერვალი

⇒ მონაწილეთა ჩასვლა, რეგისტრაცია, დაბინავება=

24 თებერვალი

- ⇒ მონაწილეთა რეგისტრაცია
- ⇒ სკოლა-სემინარის გახსნა - მინისტრის მოადგილე **პროფ. ა.გამყრელიძე** - სამედიცინო რეფორმა საქართველოში და ა მისი რეალიზაციის ეტაპები.
- ⇒ **ნ.ნუცუბიძე** - დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის მდგომარეობა საქართველოში თანამედროვე ეტაპზე და საქართველოში მიმდინარე სამედიცინო რეფორმა.
- ⇒ **ი.იაშვილი** - #2 სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი - სამშობიარო სახლის მუშაობის ორგანიზაციის გამოცდილება ჯანდაცვის რეფორმის პირობებში.
- ⇒ დისკუსია (პრობლემის განხილვა).

25 თებერვალი

- ⇒ **პროფ. ი.ჭურაძე** - ბავშვთა ასაკში ალერგიული დაავადებების მკურნალობის თავისებურებანი თანამედროვე პირობებში.
- ⇒ **პროფ. ი.მუჩაიძე** - ნეონატალური პათოლოგია საქართველოში და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები.
- ⇒ **მედ.მცენ.კანდ. დ.ტოკლიკიშვილი** - ახალშობილების რეანიმაცია თანამედროვე პირობებში.
- ⇒ დისკუსია (პრობლემის განხილვა).

26 თებერვალი

- ⇒ **პროფ. ა. კვეზერელი-კობაძე** - ჰემატოლოგიური საკითხები ნეონატოლოგიაში

თანამედროვე პირობებში.

- ⇒ **მედ.მეც.კანდ. რ.ჯაში** - პედიატრიაში ფარმაცოთერაპიის აქტუალური საკითხები.
- ⇒ **მედ.მეც.კანდ. მ.კობახიძე** - ბავშვებში დერმატიტების მკურნალობის თავისებურებანი.
- ⇒ დისკუსია (პრობლემის განხილვა).

27 თებერვალი

- ⇒ **პროფ. ი.ფავლუნიშვილი** - მკურნალობის სტანდარტები პედიატრიაში, მიღწევები და პრობლემები.
- ⇒ **პროფ. პ.ხერხეულიძე** - ცხოვრების ჯანსაღი წესი - სამედიცინო ასპექტები.
- ⇒ პროფ. ყ.ფაღავა -
- ⇒ დისკუსია (პრობლემის განხილვა).

28 თებერვალი

- ⇒ **დოც. ა.პაპიტაშვილი** - ეხოსკოპიური მეთოდების გამოყენების როლი და შესაძლებლობანი მეანობა-გინეკოლოგიაში თანამედროვე ეტაპზე, პრენატალური დიაგნოსტიკა.
- ⇒ **თ.მაჭარაშვილი** - ნეიროსონოგრაფიის გამოყენება ნეონატოლოგიაში თანამედროვე ეტაპზე.
- ⇒ **მედ.მეც.კანდ. ა.ჩხეიძე** - ნაყოფის კარდიოტოკოგრაფია, ჰიპოქსიის დიაგნოსტიკა და მკურნალობა.
- ⇒ დისკუსია (პრობლემის განხილვა).

1 მარტი

- ⇒ **პროფ. პ.კინტრია** - პერინატოლოგიის აქტუალური პრობლემები.
- ⇒ **პროფ. დ.ხეროდინაშვილი** - ლაპარასკოპიული ოპერაციები გინეკოლოგიაში.
- ⇒ **პროფ. გ.ჯვებენავა** - ლაზეროთერაპია მეანობა-გინეკოლოგიაში.
- ⇒ **პროფ. ბ.კორსანტია** - ინტრანატალური ინფექციების დიაგნოსტიკის და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები.
- ⇒ დისკუსია (პრობლემის განხილვა).

2 მარტი

- ⇒ **აკად. ე.გრეჩანინა (უკრაინა)** - პრენატალური დიაგნოსტიკის მნიშვნელობა და მიღწევები თანამედროვე ეტაპზე.
- ⇒ **პროფ. ს.ბესკროვნი (რუსეთი)** - ფარისებული ჯირკვლის დაავადებების გავლენა ქალის რეპროდუქციულ ფუნქციაზე.
- ⇒ **პროფ. ბ.ზიკინი (რუსეთი)** - ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის მნიშვნელობა ქალის რეპროდუქციული ფუნქციის შენარჩუნებისათვის.
- ⇒ დისკუსია (პრობლემის განხილვა).

სატელიტ-სიმპოზიუმი:

”მათემატიკური მოდელირება, კომპიუტერული და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება მედიცინაში”.

- ⇒ **პროფ. ჰ.მელაძე** - მათემატიკური მოდელირების ზოგადი პრინციპები და მათემატიკური უზრუნველყოფა.
- ⇒ **პროფ. გ.აბულაძე** - გულის რითმის მათემატიკური მოდელირების და სპექტრალური ანალიზის გამოცდილება.
- ⇒ **პროფ. ნ.იაბლუჩანსკი (უკრაინა)** - მათემატიკური მოდელირება კარდიოლოგიაში და მისი გამოყენება ნეონატოლოგიასა და პერინატოლოგიაში.
- ⇒ დისკუსია (პრობლემის განხილვა).

სკოლა-სემინარის დახურვა

3 მარტი

- ⇒ მონაწილეთა გამგზავრება.

საინფორმაციო წერილი #1

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო, საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაცია

ა.წ. 23/II - 2/III კ.ბაკურიანში ატარებენ სპეციალიზირებულ სკოლა-სემინარს თემაზე:

“პერინატოლოგიაში, მეანობა-გინეკოლოგიაში, ნეონატოლოგიისა და ბავშვთა ქირურგიაში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდების გამოყენება”.

სკოლა-სემინარზე ლექციებით გამოვლენ და დარგობრივი პრობლემის განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს და უცხოეთის წამყვანი სპეციალისტები მოწინავე სამედიცინო ცენტრებიდან.

მონაწილეთა მოთავსება და სკოლა-სემინარის ჩატარება გათვალისწინებულია ხელშეკრულებით სს “სამთო ქიმიის” თანამედროვე კეთილმოწყობილ დასასვენებელ-სპორტულ კომპლექსში “მთის ბროლი”. საგზურის მიხედვით 1 დღის ღირებულება (3-ჯერადი კვებით) კეთილმოწყობილი 2 და 3 ადგილიან ოთახებში (სანკვანძით) შეადგენს **15 ლარს** (7 დღის ღირებულებაა - **105 ლარი**). გარანტირებულია ადმინისტრაციის მიერ შუქი, გათბობა, ცხელი და ცივი წყალი დღე-ღამის განმავლობაში. მგზავრობა ავტობუსით, მგზავრობის ღირებულება **10 ლარი**. სკოლა-სემინარის ყოველ მონაწილეს ეძლევა სპეციალური მოწმობა, რომელიც უნდა იყოს წარმოდგენილი ექიმთა სერტიფიკაცია-ლიცენზირების დროს. მონაწილეს თანხის გადახდა უნდა მოხდეს **30 იანვრამდე** საორგანიზაციო კომიტეტში.

სემინარის მუშაობის დროს დაგეგმილია **სამეცნიერო კონფერენციის** და **ერთდღიანი სიმპოზიუმის** ჩატარება.

კონფერენციის თემატიკა:

1. პრენატალურ დიაგნოსტიკაში ულტრაბგერითი მეთოდების გამოყენება.
2. სამეანო პათოლოგია.
3. მეანობა-გინეკოლოგიაში, ნეონატოლოგიასა და ბავშვთა ქირურგიაში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდების გამოყენება.

სიმპოზიუმის თემატიკა: კომპიუტერული მეთოდები, მათემატიკური მოდელირება და ინფორმაციული ტექნოლოგიები მედიცინაში.

კონფერენციასა და სიმპოზიუმში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებს, ისე უფროსი კურსების სტუდენტებს.

კონფერენციასა და სიმპოზიუმში მონაწილეობის შემთხვევაში მსურველებმა უნდა წარადგინონ თეზისები თანდართული ფორმის მიხედვით არაუგვიანეს **1997 წლის 10 თებერვლის**, თეზისები გამოქვეყნდება სპეციალურ კრებულში. კონფერენციასა და სიმპოზიუმში მონაწილეობა შესაძლებელი იქნება საორგანიზაციო თანხის გადახდის შემთხვევაში, რომელიც შეადგენს **30 ლარს ექიმებისათვის** და **10 ლარს სტუდენტებისათვის** (შეიცავს თეზისების გამოცემის თანხას). კონფერენციის დროს მოეწყობა **ახალგაზრდა მეცნიერთა (35 წლამდე) სამეცნიერო შრომათა კონკურსი დაჯილდოებით**. სკოლა-სემინარის დროს მოეწყობა კულტურულ-სპორტული ღონისძიებები, საღამოს იმუშავენ ბარი, კაფე., დისკოთეკა,

მონაწილეობისათვის ყველანაირი სახის თანხის გადახდა და თეზისების ჩაბარება შეიძლება შემდეგი მისამართით:

თბილისი, უზნაძის ქ. 58, #2 სამშობიარო სახლი, დღის სტაციონარი, 10-დან 14 საათამდე, **გია თვალთვაძე**.

აქვე შესაძლებელია მიიღოთ საბანკო რეკვიზიტები თანხის გადარიცხვის შემთხვევაში.

ცნობები ტელეფონით: 96-02-81, 12-დან 15 საათამდე.

შენიშვნა: თანხის შეტანა უნდა მოხდეს არა უგვიანეს **30 იანვრის**, იმისათვის რომ მოხერხდეს ბაკურიანის სასტუმროს დროული მომზადება მონაწილეთა მისაღებად და აგრეთვე მონაწილეებმა დროულად მიიღონ (საჭიროების შემთხვევაში) სამსახურისათვის ცნობა სკოლა-სემინარში მონაწილეობის შესახებ მივლინების გაფორმებისათვის.

საორგანიზაციო კომიტეტი

თეზისების გაფორმების ნიმუში

ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის აქტუალური საკითხები
ა.მ.პაპიტაშვილი
თბილისის სახ.სამედიცინო უნივერსიტეტი
ტექსტი _____

25X17 სმ. 1 გვერდი და 1/3 გვერდი რეზიუმე ინგლისურად.

მედიკოსთა საერთაშორისო მე-40 საიუბილეო სკოლა-კონფერენციის ორგანიზატორთა ბიოგრაფიული მონაცემები



მედიკოსთა საერთაშორისო მე-40 საიუბილეო სკოლა-კონფერენციის პრეზიდენტი

ალექსანდრე პაპიტაშვილი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტ "გეომედის" პროფესორი, საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი დაარსებიდან(1989) დღემდე და ამ ასოციაციის მედიცინის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული 39 სკოლა-კონფერენციის მთავარი კოორდინატორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, პრეზიდენტი. საქართველოს პრენატალური მედიცინის და პერინატოლოგიის ასოციაციის გენერალური მდივანი 2003 წლიდან; ამერიკული ინსტიტუტის _ ულტრაბგერა მედიცინაში (AIUM) გენერალური წევრი 1997 წლიდან. სსრკ და საქართველოში მეანობა-გინეკოლოგიაში ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის პიონერი და დამფუძნებელი.. მეანობა-გინეკოლოგიაში ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის იან დონალდის სახ. საუნივერსიტეტო სკოლის საქართველოს ფილიალის დირექტორი. ნაყოფის მედიცინის საქართველოს ფონდის დამფუძნებელი და პრეზიდენტი უკრაინის დავიდენკოვების სახელობის სამედიცინო პრემიის ლაურეატი, (1997 წ.) ბელორუსიის სხივადი დიაგნოსტიკის რესპუბლიკური სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრი. (2011 წ) სომხეთის დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის ს/კ ცენტრის საპატიო დოქტორი ევროაზიის პერინატოლოგთა სამიტის დამფუძნებელი (2011 წ) მსოფლიოში ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის განვითარებისათვის და უმაღლესი ხარისხის პროფესიონალიზმისთვის იან დონალდის სახელობის საპატიო მედლის მფლობელი (2011) სამეცნიერო სამედიცინო ჟურნალების და შრომათა კრებულების სარედაქციო კოლეგიის და საბჭოს წევრი(7 საქართველოში, 7 საზღვარგარეთ) 1996 წლიდან 100 მეტი საერთაშორისო და რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციისა და კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, კომიტეტის წევრი, ხელმძღვანელი, მოწვეული ლექტორი, მომხსენებელი და მონაწილე. ორსულთა პათოფიზიოლოგიაში 47-ე მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი. ორსულთა პათოფიზიოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი. 160-მდე სამეცნიერო პუბლიკაციის, გამოგონების და მონოგრაფიების ავტორი



სკოლა-კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის გენერალური დირექტორი

გიორგი თვალთვაძე

1977 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ექიმი მუხრან-გინეკოლი. ამჟამად მუშაობს კლინიკა „ჰერა“-ს წამყვან სპეციალისტად და გინეკოლოგიური დღის სტაციონარის გამგედ კლინიკა GEOSWISS-ში.

ალექსანდრე პაპიტაშვილთან ერთად 1997 წელს საერთაშორისო სამედიცინო სკოლა-კონფერენციების დამფუძნებელი და ერთერთი ორგანიზატორი. 39 სკოლა-კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის მედიცინის დეპარტამენტის და საქართველოს პრენატალური მედიცინის და პერინატოლოგიის ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.



სკოლა-კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

ლავროს შევარდნაძე

1971 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი ბიოფიზიკის სპეციალობით, ხოლო 1974 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

სხვადასხვა პერიოდში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, აგრარული ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის ფიტოპათოლოგიის სექტორის გამგე, სამკურნალო კოლეჯის „მკურნალი“ და სამედიცინო ინსტიტუტის „კლინიცისტი“ დამფუძნებელი და ბოლოს ბიოტექნოლოგიის ცენტრის დირექტორი.

მედიკოსთა საერთაშორისო სკოლა-კონფერენციის მუშაობაში აქტიურად ჩაერთო 2001 წლიდან. წლების განმავლობაში იყო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, ხოლო ახლა არის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.



სკოლა-კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის საპატიო წევრი

ნუგზარ სხირტლაძე

2012 წლიდან საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის თავმჯდომარე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, დოქტორი.

1972-1993 წლებში თსუ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, 1993-2006 წლებში თსუ სასწავლო მეთოდური სამმართველოს უფროსი,

2000-2006 წლებში თსუ მათემატიკური მოდელირების კათედრის დამაარსებელი და გამგე. ამჟამად კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, ამავე უნივერსიტეტის თანადამფუძნებელი, პროფესორი და მათემატიკის კათედრის გამგე.

მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების აქტუალური პრობლემების მათემატიკური მოდელირების მეთოდებით კვლევა; არის 52 სამეცნიერო სტატიის ავტორი და 11 საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი, რომელთაგან ერთ-ერთი „საუბრები ინფორმატიკაზე“ გამოცემულია რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზეც. არის ავტორი ნოველების კრებულისა „დვრიტა“ და გამომცემელი ფრანგული მოდერნისტული პოეზიის ორენოვანი ანთოლოგიისა, რომელშიც ოთხი პოეტის თითოეულ ფრანგულ ლექსს ერთვის საუკეთესო ქართული თარგმანები.

არის თსუ ახალგაზრდა მეცნიერთა და თსუ სამეცნიერო პრემიების ლაურეატი და ღირსების ორდენის კავალერი.



სკოლა-კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის საორგანიზაციო საკითხთა კოორდინატორი

მალხაზ კერესელიძე


სამედიცინო სოციალურ სკითხთა დამოუკიდებელი ექსპერტი, მედიცინის და ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი.

საერთაშორისო სამეცნიერო სკოლა-კონფერენციების ვეტერანი და მისი აღდგენის ერთერთი ორგანიზატორი. 39 კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, ჰუმანიტარული აქციების (რეგიონებში მოსახლეობის უსასყიდლოდ გასინჯვის) ორგანიზატორი. კონფერენციის ფარგლებში სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დამოუკიდებელი სესიების ორგანიზატორი.

პრაქტიკული, სამეცნიერო, პედაგოგიური და ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის დიდი გამოცდილებით.

უმძალესი კატეგორიის ექიმი ქირურგი, მუშაობდა საქართველოს წამყვან კლინიკებში, მოსკოვის ბოტკინის სახ. საავადმყოფოს ქირურგიულ კლინიკაში, მაროკოს კასაბლანკის ჰოსპიტალსა და ტუნისის ფარხატ აშეტის სახ. ქ. სუსის საუნივერსიტეტო კლინიკაში ქირურგად. ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის (ვაკის ლეჩკომბინატის) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ, თსუ - სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის, დიპლომის შემდგომი განათლების, კურსის ხელმძღვანელად.

49 სამეცნიერო შრომის ავტორი; ჯანმო-ს „ფუნქციონირების, შესაძლებლობის შეზღუდვის და ჯანმრთელობის საერთაშორისო კლასიფიკაციის „ფსკ“ ქართულენოვანი გამოცემის რედაქტორი; შესაძლებლობა შეზღუდული პირების დიაგნოსტიკური კვლევის სტანდარტების შემუშავების ავტორი.




საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარის მოადგილე სამეცნიერო დარგში

გია აზმაიფარაშვილი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქირურგი, ენდოსკოპისტი.

80- მდე სამეცნიერო ნაშრომის, 8 სასარგებლო მოდელის, 4 გამოგონების და 1 მონოგრაფიის ავტორი. ამერიკის ქირურგთა საერთაშორისო კოლეჯის, საქართველოს ქირურგთა, აკ.გრიგოლ მუხაძის სახელობის ქირურგთა და საქართველოს ენდოსკოპისტთა ასოციაციის წევრი. მუშაობს- შპს "გადუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის ცენტრში" ქირურგად და ენდოსკოპისტად.

არის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიის № 2 დეპარტამენტის პროფესორი. მრავალი წელია მონაწილეობს მედიკოსთა ტრადიციულ სკოლა-კონფერენციებში, რეგულარულად აკეთებს მოხსენებებს. 2010 წლიდან არის აღნიშნული კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, ქირურგიული მიმართულების სამეცნიერო-პრაქტიკული სესიების თავჯდომარე.



სკოლა-კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი

დევი ტაბიძე

ექიმი გინეკოლოგი-რეპროდუქტოლოგი, ჯანდაცვის ორგანიზატორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი საჯარო სამსახურის 1-ლი კატეგორიის მრჩეველი. დამოუკიდებელი ექსპერტი – ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხებში, შ.პ.ს. რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი “უნივერსი” -ს გენერალური დირექტორის მოადგილე.

46 სამეცნიერო ნაშრომის, ქართულ-ინგლისურ-ენოვანი რეპროდუქციული ლექსიკონის და ერთი მონოგრაფიის ავტორი. 21 საერთაშორისო სერთიფიკატის მფლობელი - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხებში. შშმ პირთა ჯანმრთელობის საერთაშორისო კლასიფიკაციის “ფსკ”-ს ქართულ-ენოვანი თარგმანის თანაავტორი. ჟურნალ “რეპროდუქტოლოგია”-ს თანადამფუძვნებელი და ადმინისტრაციული მენეჯერი. სამედიცინო-საინფორმაციო – საგანმანათლებლო ტელე, და რადიო პროექტის “კონსილიუმი”-ს ავტორი. არასამთავრობო ორგანიზაციები: ექიმთა უფლებების დაცვის სამედიცინო და იურიდიული საერთაშორისო ცენტრი “კონსილიუმი” -ს და ასოციაცია “ჯანსაღი შთამომავლობა” –ს თანადამფუძვნებელი. საქართველოს რეპროდუქტოლოგთა ასოციაციის წევრი. საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა, ასოციაციის მედიცინის დეპარტამენტის წევრი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის, სახელმწიფო მმართველობის სკოლა – GIPA -ს და თბილისის კავკასიის უნივერსიტეტის - ჯანდაცვის სკოლის მოწვეული პროფესორი.



სკოლა-კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის საორგანიზაციო
საკითხთა კოორდინატორის მოადგილე

ქეთი ბახტაძე

დაიბადის წელი - 1971 ; დაიბადის ადგილი-თბილისი

განათლება:

1989 წელს დაამთავრა 61-ე საშუალო სკოლა;

1996 წელს დაამთავრა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება:

1996 წლიდან დღემდე მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროში ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში ექიმ-ოტოლარინგოლოგად

1999 წლიდან არის მედიკოსთა საერთაშორისო სკოლა-კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, კულტურული პროგრამების ხელმძღვანელი, ამჟამად საორგანიზაციო კომიტეტის საორგანიზაციო საკითხთა კოორდინატორის მოადგილეა



სკოლა-კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის
მოადგილე საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში

ზარზარე გორგოძიძე

მედიცინის აკადემიური დოქტორი, ი.ჟორდანიას სახ.ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტის ექ.რეპროდუქტოლოგი,ენდოკრინოლოგი.

ექიმთა სკოლა კონფერენციებში მონაწილეობს 2005 წლიდან,გაკეთებული აქვს 20-მდე მოხსენება. საორგანიზაციო კომიტეტის წევრი არის 2007 წლიდან, ასრულებს სესიების მუშაობის და ტრანსპორტის საკითხების კოორდინატორის ფუნქციას, აქტიურ მონაწილეობას იღებს კულტურულ - გასართობი საღამოების, ექსკურსიების, კარნავალების ორგანიზაციაში.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში 2015 წლიდან



სკოლა-კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი

ვასილ კაჭარავა

ივ.ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის და საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის 9 ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია: “ამერიკის შეერთებული შტატები. ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა” ორგანიზატორი.

ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტი; თსუ ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის ხელმძღვანელი; თსუ ამერიკის შესწავლის ცენტრის დირექტორი; თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

გამოქვეყნებული აქვს 40-დე სამეცნიერო შრომა; მისი ავტორობით გამოიცა: A მონოგრაფიები - ამერიკა 1950-იან წლებში, ეიზენჰაუერით კონსერვატიული და მონროსავით მომხიბლავი, გამომცემლობა „კლიო“, თბილისი 2011 , ამერიკა 1920-იან წლებში : ამერიკული ინდივიდუალიზმი, ეკონომიკური აყვავება, ჯაზის ეპოქა, მშრალი კანონი, დეპრესია, საქართველოს მაცნე, თბილისი 2008, ამერიკა 1920-იან წლებში : ამერიკული ინდივიდუალიზმი, ეკონომიკური აყვავება, ჯაზის ეპოქა, მშრალი კანონი, დეპრესია, საქართველოს მაცნე, თბილისი 2008, „მშრალი კანონი“ ამერიკაში, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1991.

მედიკოსთა ტრადიციული სკოლა-კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი 2004 წლიდან. მისი ხელმძღვანელობით ტარდება ლექციები, დისკუსიები, მრგვალი მაგიდები, საინტერესო შეხვედრები და კულტურულ-გასართობი ღონისძიებები



სკოლა-კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი

მარინა ლაბაძე

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, სპეციალობა – ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია 1966 წლიდან დღემდე მოღვაწეობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში.

გამოქვეყნებული აქვს 51 სამეცნიერო ნაშრომი, არის სტომატოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ჰისტოლოგიის სახელმძღვანელოს სამი გამოცემის ავტორი.

მედიკოსთა დარგობრივი ასოციაციის წევრია. მრავალი წლის განმავლობაში რეგულარულად მონაწილეობს საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში მომხსენებლის სტატუსით, ხელმძღვანელობს არაკლინიკურ მიმართულებების სექციებს. აქტიურადაა ჩართული კონფერენციის კულტურულ პროგრამებში.

საორგანიზაციო კომიტეტის წევრი 2012 წლიდან



სკოლა-კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი

მანონ ფანჩულიძე

რუსთავის სამედიცინო ცენტრ "ოჯახის ექიმი"-ს წამყვანი სპეციალისტი, გინეკოლოგი.
მედიკოსთა სკოლა-კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი 2011 წლიდან,
ამჟამად სარეგისტრაციო ჯგუფის კოორდინატორი.



სკოლა-კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი

თეა ჯოხაძე

დაიბადა 30. 01. 1977 ქ.თბილისში. PR-ის სპეციალისტი.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატი, ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკულტეტი – სოციოლოგიის კვალიფიკაციით და მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტის მაგისტრატურა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალობით.

1998 წლიდან მუშაობდა საავტორო საინფორმაციო-სატელევიზიო სტუდიაში - "STUDIO 4S"

სოციოლოგიური კვლევის ჯგუფის ხელმძღვანელად და ტელეკორესპონდენტად. ამჟამად სატელევიზიო გადაცემებს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხისთვის.

იყო დამოუკიდებელ ჟურნალისტთა საერთაშორისო ალიანსის პორტალის - "კავკასია" (www.caucasus.ge) ვებ-დირექტორი და რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარე.

არჩეულ იქნა საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს – «საქინფორმის» სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

2005 – 2010 წლებში მუშაობდა მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტში.

ელექტრონულ ჟურნალისტიკასა და კომპიუტერულ გრაფიკაში მასწავლებლად

2006 წლიდან არის დამოუკიდებელ ჟურნალისტთა საერთაშორისო ალიანსის ელექტრონული მედიაკომუნიკაციების ცენტრის დირექტორი და მარკეტინგული კომუნიკაციებისა და სატელევიზიო-საინფორმაციო სააგენტოს დირექტორის მოადგილე.

2011 წლიდან არის მედიკოსთა ტრადიციული საერთაშორისო სკოლა-კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.



სკოლა-კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი

მიხეილ ხომტარია

დაიბადა 31. 10. 1941 ქ.თბილისში

დაამთავრა - თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომანული ენების სპეციალობით და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა, სპეციალობით - მათემატიკური ლოგიკა და ალგორითმთა თეორია.

მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში - უფროს მეცნიერ თანამშრომლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში - ანალიტიკური სამმართველოს ხელმძღვანელად, ინფორმაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში განყოფილების გამგედ და საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე ეკონომიკურ მიმომხილველად, მთელი რიგი სატელევიზიო გადაცემების ავტორად და გადაცემების წამყვანად.

1996 წლიდან დღემდე არის დამოუკიდებელ ჟურნალისტთა საერთაშორისო ალიანსის გამგეობის თავმჯდომარე, ხოლო 2006 წლიდან ხელმძღვანელობს მარკეტინგული კომუნიკაციებისა და სატელევიზიო-საინფორმაციო სააგენტოს.

1975 წლიდან ჩატარებული აქვს რამდენიმე ათეული საერთაშორისო კონფერენცია, სიმპოზიუმი, სკოლა-კონფერენცია, გამოფენა.

2011 წლიდან არის მედიკოსთა ტრადიციული საერთაშორისო სკოლა-კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.



სკოლა-კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი

ირინა რუხაძე

განათლება:

1968 - 1979 წწ. ქ. თბილისის გ. ტაბიძის სახელობის 51-ე საშუალო სკოლა;

1980 - 1986 წწ. ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. კვალიფიკაცია - ექიმი-ჰიგიენისტი. ეპიდემიოლოგი.

სამუშაო გამოცდილება:

1987 - 2007 წწ. ქ. თბილისი საქალაქო-სანიტარული სამსახურის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის გამგე. პირველი კატეგორიის ექიმი-ბაქტერიოლოგი.

ამჟამად, კლინიკა „კურაციო“-ს ლაბორატორიული დეპარტამენტის ექიმი-ლაბორანტი.

2012 წლიდან მედიკოსთა საერთაშორისო სკოლა-კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის ადმინისტრაციული ჯგუფის ხელმძღვანელი



სკოლა-კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი

ლევან კოკაია

არქიტექტორი სამედიცინო ობიექტების დაპროექტების სექტორიში მუშაობის დიდი გამოცდილებით. მის მიერ დაპროექტებულია კურორტ „არჩმანის“ განსახლებისა და მათთან არსებული მრავალფუნქციური ცენტრის პროექტი თურქმენეთში, ბავშვთა საავადმყოფოს 200 საწოლიანი კორპუსები; №2 სამედიცინო სასწავლებლის ახალი შენობა, ზემოდ ხსენებულ პროექტების ინოვაციური გადაწყვეტილებების დანერგვისათვის დაჯილდოებულია საქართველოს სახმშენის პრემიებით. ასევე, მის მიერ იქნა დაპროექტებული 850 საწოლიანი საავადმყოფოების კომპლექსი სოფ მაჭარაში, აფხაზეთი; ომის ვეტერანთა ჰოსპიტალი 200 აწოლზე თბილისში; სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი თბილისის ზღვაზე, სკოლა 264 მოსწავლეზე სოფ. მანავში; სამედიცინო ცენტრის "ციტო"-ს ოფისი და მრავალი სხვა.

არის უცხოეთში განხორციელებული მრავალი პროექტის ავტორი: მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის ქ.ლუგაში, ლენინგრადის ოლქის პოლიგრაფიული ფირმა „მიდი-პრინტ“-ის ოფისი და საწარმოო ქ.მოსკოვში, ასევე მოსკოვში საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის შენობაში შვეიცარული ფირმა IRU-ს წარმომადგენლობის ოფისი, რუსული სამზარეულოს რესტორანი ტოსკანაში, იტალია; საოჯახო სასტუმროს პროექტი ბაკურიანში; სასტუმროს პროექტი შეკვეთილში; მართლმადიდებელი ეკლესიის სალოცავი ს.შიმკუსში, რუსეთი და სხვა. არის მრავალი კერძო საცხოვრებელი სახლების, ინტერიერებისა და გამოფენების განხორციელებული პროექტების ავტორი.

1983 წლიდან იყო საბჭოთა კავშირის არქიტექტორთა კავშირის წევრი, ამჟამად არის საქართველოს, რუსეთის და საერთაშორისო არქიტექტორთა კავშირის UIA-s წევრი.

2004 წლიდან არის მედიკოსთა ტრადიციული კონფერენციების მუდმივი მონაწილე, ხელმძღვანელობს ხელოვნებისა და კულტურული დასვენების პროგრამებს.

სკოლა-კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი 2005 წლიდან



სკოლა-კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი

ქეთევან სანებლიძე

1974 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფორტეპიანოს კლასი, 1980 წელს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ფაკულტეტი გრაფიკის მიმართულებით, ხოლო 1983 წელს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ფაკულტეტის ასპირანტურა. 2000 წელს მიენიჭა დოცენტის წოდება.

1984 წლიდან დღემდე მუშაობს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ფაკულტეტის გრაფიკის მიმართულებაზე ჯერ უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე, შემდგომ დოცენტისა და დღეისათვის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე.

მედიკოსთა საერთაშორისო სკოლა-კონფერენციის მუშაობაში აქტიურად ჩაერთო 2001 წლიდან. წლების განმავლობაში იყო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. კურირებდა კულტურის სფეროს.



სკოლა-კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი

ნიკოლოზ ნუცუბიძე

დაბადების თარიღი - 1950 წლის 10 სექტემბერი, დაბადების ადგილი – ქუთაისი

განათლება:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი 1969 -1975

სტაჟირება -კავკასიის რეგიონული მიღწევები საოჯახო ჯანდაცვის კომუნიკაციებში – ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის კომუნიკაციური პროგრამების ცენტრი თურქეთში,1999

მასმედიის როლი რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში, თურქეთი,2006

მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპები დედასა და ახალშობილის ჯანმრთელობის დაცვაში – ქ.თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი,2003

სამუშაო გამოცდილება:

კომპანია "სმარტი" - ს სამედიცინო სამსახურის კონსულტანტი ,2015-დან

მრავალპროფილიანი სამედიცინო ცენტრი – სტატისტიკის სამსახურის უფროსი, ,2013 -2014

კომპანია "მედიკალპარტნიორი" - დირექტორი, თბილისი,2012 -2013

სააქციო საზოგადოება "რუსთავის სამშობიარო სახლი" აღმასრულებელი დირექტორი, რუსთავი,2010-2011

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი, ქურთა,2008 - 2009

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, 2004 -2007; პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე,2002 -2004;დედათა და ბავშვთა საკითხების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, 2000 -2004 ;მთავარი მეან-გინეკოლოგი-1989-1990

საქართველოს ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის (გაეროს მოსახლეობის ფონდი UNFPA; დაავადებათა კონტროლის ცენტრი ჩიკო ატლანტა აშშ; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) - დირექტორი 1999- 2005.

მედიკოსთა საერთაშორისო 1997 წლის პირველი სკოლა-კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, მედიკოსთა 38 საერთაშორისო სკოლა-კონფერენციის, საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფის წევრი.

უსკ პროგრამები

"უპირველესია არ ავნო" PRIMUM NON NOCERE (PNN)

თრეინინგი

კლინიკური ფარმაკოლოგიისა და რაციონალური ფარმაკოთერაპიის ხელშეწყობის კავშირი "უპირველესია არ ავნო" (ხელმძღვანელი პროფ. რუსუდან ჯაში) წარმოგიდგენთ უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამას კლინიკური ფარმაკოლოგიისა და რაციონალური ფარმაკოთერაპიის საკითხებზე,რომლებიც მომზადებულია ამერიკის(ACCP) და ევროპის (ESCP) კლინიკური ფარმაკოლოგიის ასოციაციის, FDA და უფსალის (ჯანმოს წამალთა გვერდითი მოქმედების მონიტორინგის ცენტრი) რეკომენდაციებზე დაყრდნობით.პროგრამის დასახელება- კლინიკური ფარმაკოლოგიისა და რაციონალური ფარმაკოთერაპიის აქტუალური საკითხები(მოკლე კურსი) პროგრამის განმახორციელებელი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი,საქართველოს სამედიცინო ასოციაციების გაერთიანება, ა.კობალაძის სახ. კლინიკური ფარმაკოლოგიისა და რაციონალური ფარმაკოთერაპიის ხელშეწყობის კავშირი „უპირველესია არ ავნო“ პროგრამის მიზანია: პოლიფარმაციის შემცირება, პაციენტზე ორიენტირებული უსაფრთხო, ეფექტური და იაფი მკურნალობის დანერგვა საქართველოში.

პროგრამის ხანგრძლივობა(საათები/დღეები) 3 დღე 18 საათი

დაინტერესებული პირებისათვის პროგრამის ჩატარება შესაძლებელია სკოლა- კონფერენციის მსვლელობის დროს.

დაგვიმეგობრდით **facebook:** უპირველესია, არ ავნო, იხ. Youtube pnn2011,

შენიშვნების

